პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 57 (4051) 22 1970 წ. მარტი. კვირა. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР. и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან




## ყველაფერი თავიდან იწყება

სტოკჰოლმი, 20 მარტი. აქ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში ფინელმა ჰოკეისტებმა საკმაოდ მაღალი კლასი აჩვენეს, მაგრამ, როგორც ჩანს, დიდი ჯაფა შეალიეს წინა მატჩებს და დღეს ჩეხოსლოვაკიელებთან შეხვედრაში გამანადგურებელი მარცხი იწვნიეს — 1:9.

შემდეგ „იუჰანესჰოფის" ყინულის მოედანზე გამოვიდნენ ძველი მეტოქეები — შვეციისა და სსრ კავშირის გუნდები. პირველი პერიოდი ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა. ანგარიში მე-13 წუთზე გახსნა სტარშინოვმა, მაგრამ პერიოდის მიწურულს პალმკვისტმა საპასუხო შაიბა გაიტანა — 1:1.

მეორე პერიოდში მასპინძლებმა თავიდანვე აგრესიულად შეუტიეს საბჭოთა გუნდის კარს და მე-3 წუთზე ა. კარლსონმა დააწინაურა თავისი გუნდი, პერიოდის მიწურულს კი ნილსონმა მესამე შაიბა გაიტანა მსოფლიო ჩემპიონატის დებიუტანტის ტრეტიაკის კარში, რომელმაც მძიმედ დაშავებული კონოვალენკო შეცვალა.

მესამე პერიოდის მე-2 წუთზე ხარლამოვმა ანგარიშში სხვაობა შეამცირა. იქვე მოედნიდან გააძევეს ლუტჩენკო და ლუნდსტრემმა მეოთხე შაიბა მოათავსა საბჭოთა ნაკრების კარში.

დარჩენილ დროში საბჭოთა ჰოკეისტებს შეეძლოთ რამდენიმე შაიბის გატანა, მაგრამ ბრწყინვალედ ითამაშა შვედების მეკარე ჰოლმკვისტმა. ამრიგად, სსრ კავშირის ნაკრებმა პირველი მარცხი იწვნია — 2:4.

საბჭოთა გუნდის ამ წაგებით ოქროს მედლებისთვის ბრძოლა, ფაქტიურად, თავიდან იწყება.

მკითხველებს მოვაგონებთ, რომ მსოფლიო ჩემპიონის გამოსავლენად არსებულ წესში შეტანილია ზოგიერთი ცვლილება. მაგალითად, თუ ორმა გუნდმა ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვა, მაშინ უპირატესობა მიენიჭება ნაკრებს, რომელსაც უკეთესი შედეგი აქვს ამ ორი გუნდის ურთიერთ შეხვედრებში. თუ ჩემპიონი ამ წესითაც ვერ გამოვლინდა, მაშინ გადამწყვეტ როლს ითამაშებს გატანილი და მიღებული შაიბების საერთო სხვაობა ჩემპიონატის ყველა მონაწილესთან შეხვედრაში. თუ ამ მეთოდმაც გამარჯვებული ვერ გამოავლინა, მაშინ გუნდების საბოლოო მდგომარეობას განსაზღვრავს ეგრეთ წოდებული „გოლების კვოტა". ეს ნიშნავს, რომ, თუ გუნდს 50 შაიბა აქვს გატანილი და 10 მიღებული, მისი „კვოტა" ხუთს უდრის.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 მარტისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | შ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 5 | 4 | 0 | 1 | 26—7 | 8 |
| შვეცია | 5 | 4 | 0 | 1 | 27—10 | 8 |
| ჩეხოსლოვაკია | 5 | 3 | 0 | 2 | 24—13 | 6 |
| ფინეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 15—18 | 6 |
| გდრ | 4 | 0 | 0 | 4 | 3—23 | 0 |
| პოლონეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 4—38 | 0 |

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

## გამარჯვება ვიცე-ჩემპიონთან

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 21 მარტი.

„დინამო" (თბილისი) — „დინამო" (კიევი) 2:1 (2:0).

თბილისი: ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ხინჩიკაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე (ილიადი), ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

კიევი: რუდაკოვი, მედვიდი, სოსნიხინი, ლევჩენკო, კრულიკოვსკი, ტროშკინი, მუნტიანი, პუზაჩი, ბიშოვეცი, სერებრიანიკოვი (ბოგოვიკი), კაშჩეი.

მსაჯი პ. კაზაკოვი (მოსკოვი).

ბურთები გაიტანეს: კუტივაძემ (მე-3 წ.), გ. ნოდიამ (მე-8 წ.) და კიეველმა ბიშოვეცმა (53-ე წ.).

## ჭუჭუნ...

ქუთაისში ადგილობრივმა ტორპედოელებმა როსტოვის არმიელთა გუნდს უმასპინძლეს. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 1:0 გოლი გაიტანა ტრემბაჩმა (30-ე წ.).

ერევანში ადგილობრივი „არარატისა" და მოსკოვის „სპარტაკის" შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი




## ყველაზე აგრესიული თავდასხმა, ყველაზე უკბილო დაცვა

კაუნასი, 21 მარტი. კალათბურთელ ქალთა ჩემპიონატის მეოთხე კალენდარულმა დღემ უსიამოვნება მოუტანა ერთ-ერთ ლიდერს — ლენინგრადის „სპარტაკს". ნევისპირელებმა ვერაფერი გააწყვეს აღმავლობით მოთამაშე ვილნიუსის „კიბირკშტისთან" და ხელი მოაწერეს კაპიტულაციას — 57:65. ამ მარცხმა „სპარტაკი" სატურნირო ცხრილში ერთი საფეხურით დაბლა დასწია და მას „კიბირკშტისი" დაეწია.

გათამაშების ლიდერმა — მოსკოვის ოლქის „სპარტაკმა" კიდევ 1 ქულა მოიმარაგა: ამჯერად დაამარცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი (63:50), რომელიც აშკარად სახიფათო ზონაშია.

დაკარგულის ანაზღაურება ამჟამად რიგელთა მთავარი დევიზია. ზედიზედ ორი წაგების შემდეგ გუნდი ბოლოს და ბოლოს გონს მოვიდა: ტტტ-მ აღმავლობით ითამაშა მოსკოვის „დინამოსთან" და გაიმარჯვა კიდეც — 68:58.

კარგ ფორმაშია სვერდლოვსკის „ურალმაში", რომელიც ლენინგრადის „ბურევესტნიკთან" გამარჯვების შემდეგ (71:54) ლიდერთა ჯგუფს მიადგა.

კიევის „დინამომ" მეტად საჭირო ქულა აიღო მოსკოვის „სერპ ი მოლოტთან" შეხვედრაში (76:71) და იგი სამქულიანთა საკმაოდ მრავალრიცხოვან ჯგუფს შეუერთდა. „სერპ ი მოლოტი" ორიგინალურ მდგომარეობაშია: სატურნირო ცხრილში მას IX ადგილი უკავია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველაზე აქტიური და შედეგიანი თავდასხმა ჰყავს, რომელმაც 9 შეხვედრაში 611 ქულა აიღო. მოსკოველებმა, ამავე დროს, ყველაზე მეტი ქულა „მიიღეს" საკუთარ კალათში (611).

პირველი გამარჯვება იზეიმა აუტსაიდერმა — ტარტუს „უნივერსიტეტმა": მან საკმაოდ იოლად დაამარცხა ადგილობრივი „პოლიტექნიკა" — 47:32.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 მარტისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) | 9 | 8 | 1 | 557—489 | 8 |
| ტტტ (რიგა) | 9 | 7 | 2 | 590—539 | 7 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 9 | 6 | 3 | 559—518 | 6 |
| „კიბირკშტისი" (ვილნიუსი) | 9 | 6 | 3 | 530—494 | 6 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 9 | 6 | 3 | 591—587 | 6 |
| „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) | 9 | 4 | 5 | 540—548 | 4 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 9 | 4 | 5 | 531—544 | 4 |
| „პოლიტექნიკა" (კაუნასი) | 9 | 3 | 6 | 491—534 | 3 |
| „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი) | 9 | 3 | 6 | 611—611 | 3 |
| სპი (თბილისი) | 9 | 3 | 6 | 525—578 | 3 |
| „დინამო" (კიევი) | 9 | 3 | 6 | 524—572 | 3 |
| „უნივერსიტეტი" (ტარტუ) | 9 | 1 | 8 | 457—551 | 1 |



ნორილსკი. იმიერპოლარეთის აკვალანგისტთა კლუბი „ნორდი" ათ წელზე მეტია, რაც არსებობს. აქ 2 სპორტის ოსტატი, 1 ოსტატობის კანდიდატი, 20 პირველთანრიგოსანი, 150-ზე მეტი მეორე და მესამეთანრიგოსანი ჰყავთ. აკვალანგისტთა გარდა, კლუბის წევრები არიან მყვინთავებიც და სწორედ ესენი წარმოადგენენ ამ კოლექტივის ბირთვს.

წარსულში ცნობილი ენისეელი მყვინთავის, შახტის ოსტატ პ. კრიშტოპოვის ხელმძღვანელობით მყვინთავებმა თავიანთი „ჰობი" სასარგებლო საქმედ აქციეს: ისინი პერიოდულად წყალქვეშ არემონტებენ ადგილობრივი სამთო-მეტალურგიული კომბინატის ობიექტებს.

• • •

სურათზე: ნორილსკელი აკვალანგისტების მორიგი ვარჯიში.

ფოტო ა. პოლიაკოვისა (საქდესი).

## ურალის სათხილამურო ბილიკებზე

პერვოურალსკი (სვერდლოვსკის ოლქი), 20 მარტი. გუშინ ქალაქის მთავარ მოედანზე საზეიმოდ გაიხსნა სსრ კავშირის ჩემპიონატი სათხილამურო რბოლაში. მასპინძლები სპორტის დიდი მოყვარულნი არიან. ისინი გულთბილად შეხვდნენ სტუმრებს — მსოფლიოს საუკეთესო მოთხილამურეებს, რომლებიც სულ რამდენიმე ხნის წინ ბრწყინვალედ გამოვიდნენ მაღალი ტატრების ფერდობებზე. ამ დღეებში ვ. ვედენინს, ვ. ვორონკოვს, ა. ოლიუნინას, გ. კულაკოვას, ნ. ფიოდოროვას და სხვა ვარსკვლავებს ძნელი ბრძოლა ელით საბჭოთა კავშირში უძლიერესის სახელისთვის. არც სარბიელი იქნება მაინცდამაინც სახარბიელო: დილით ჰაერის ტემპერატურა ზოგჯერ ნული გრადუსია.

შეჯიბრება დღეს დილით დაიწყო. ქალთა ტურნირში 3 კილომეტრის შემდეგ ვეტერანი ა. კოლჩინა (მოსკოვი) ორ წამს უგებდა II ადგილზე მიმავალ ნ. ფიოდოროვას (ლენინგრადი), მაგრამ შემდეგ ორივეს გაუსწრო ნ. შებალინამ (ლენინგრადი) და ჩემპიონის ოქროს მედალიც მას დარჩა. ვერცხლი ფიოდოროვას ხვდა, ბრინჯაო — კოლჩინას.

შტრბსკე-პლესოს გმირი ვ. ვედენინი 15-კილომეტრიან რბოლაში ერთ-ერთი ბოლო ჩავიდა. შუა დისტანციის შემდეგ მას საუკეთესო დრო ჰქონდა, მაგრამ მერე ტემპი შეანელა. საბოლოოდ, ვედენინმა და ვ. ვორონკოვმა (ორივე — მოსკოვი) ერთნაირი დრო აჩვენეს. იმის გამო, რომ ვედენინი სტარტიდან ვორონკოვის შემდეგ გავიდა, ჩემპიონობა ამ უკანასკნელს დარჩა.

21 მარტს მოეწყობა ქალთა ესტაფეტა 4×5 კილომეტრზე, კვირას — ვაჟთა ესტაფეტა 4×10 კილომეტრზე. ორშაბათს სარბიელზე კვლავ ქალები გამოვლენ. ამჯერად შეჯიბრების მანძილი 10 კმ იქნება. 24 მარტს მოეწყობა ვაჟთა ასპარეზობა 30 კილომეტრზე რბოლაში. ამავე დღეს დამთავრდება ჩემპიონატიც.

## მსოფლიო თასები — მ. ჟაკოსა და კ. შრანცს

ვალ-გარდენაში გამართული მსოფლიო პირველობის შედეგები სამთომოთხილამურეთა მსოფლიო თასის გათამაშების ჩათვლაშიც შედიოდა. ასპარეზობის დამთავრების შემდეგ კიდევ რამდენიმე ტურნირი მოეწყო და თასებს ახალი მფლობელები გაუჩნდათ. ბედის მაძიებლები ვალ-გარდენადან ამერიკის კონტინენტს ეწვივნენ — ჯეკსონ-ჰოლში, ჰევენლი-ვალსა და ვანკუვერში სამი შეჯიბრება ჩაატარეს, ბოლოს კი ნორვეგიაში გადაინაცვლეს და ვოსბერგენში იასპარეზეს.

ჯეკსონ-ჰოლში (აშშ) ვაჟებიცა და ქალებიც სპეციალურ სლალომში ცდიდნენ ძალას. ქალთა შორის იმარჯვა სპეციალურ სლალომში მსოფლიო ჩემპიონმა ი. ლაფორგმა (საფრანგეთი), რომელმაც უკან ჩამოიტოვა მასპინძელი ბ. კოჩნარი და კანადელი ბ. კლიფერდი. ვაჟებში ყველას აჯობა საფრანგეთის გუნდის წარმომადგენელმა ა. პენცმა. II და III ადგილებზე გავიდნენ იტალიელები ჰ. ბრეჰი და გ. ტოენი.

ჰევენლი-ვალში (აშშ) გიგანტურ სლალომში მხოლოდ ვაჟთა შეჯიბრება გაიმართა. გამარჯვება პ. რუსელს (საფრანგეთი) დარჩა. ავსტრიელი ქ. ბლაინერი მეორე იყო.

ერთი კვირის შემდეგ თასებისთვის ბრძოლა ვანკუვერში (კანადა) მოეწყო. აქ ქალები გიგანტურ სლალომში, ვაჟები კი სპეციალურ და გიგანტურ სლალომში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. თავი ისევ ფრანგმა სპორტსმენებმა ისახელეს. ქალებში პირველობა მოიპოვა მ. ჟაკომ. პენცი აქ გამართულ ტურნირებშიც შეუდარებელი იყო. მან I ადგილი დაისაკუთრა როგორც გიგანტურ, ისე სპეციალურ სლალომში.

და აი, მსოფლიო თასის გათამაშების ბოლო პუნქტი — ვოსბერგენი. შეჯიბრების პროგრამაში მხოლოდ გიგანტური სლალომი შედიოდა. ქალთა ტურნირს აქ მხოლოდ II და III ადგილების ბედი უნდა გაერკვია, ვინაიდან ჟაკომ უკვე წინა შეჯიბრებაში გამარჯვების წყალობით იმდენი ქულა დააგროვა, რომ ყველასთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. თასიც მან დაისაკუთრა. მანამდე ამ პრიზს ორი მფლობელი ჰყავდა: კანადელი ნ. გრინი (ორჯერ) და ავსტრიელი მ. გაბლი.

ვოსბერგენში საუკეთესო შედეგი ლაფორგმა მოიპოვა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ავსტრიელები დრექსელი და პროლი. ამ გამარჯვებით ლაფორგმა III ადგილზე გადაინაცვლა, თანაგუნდელ ფ. მაკის ჩამოტოვება კი ველარ შეძლო (ბოლო ტურებში წარუმატებლობის მიუხედავად, მაკიმ ადრე მოპოვებული ქულების წყალობით II ადგილი შეინარჩუნა).

ვაჟთა ასპარეზობა ამჯერად ბლაინერმა მოიგო. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ მ. ოჟე (საფრანგეთი), თასის შარშანდელი მფლობელი კ. შრანცი (ავსტრია) და რუსელი. შრანცისთვის ეს III ადგილიც საკმარისი გამოდგა, რათა თასი შეენარჩუნებინა. რუსელი II ადგილზე დარჩა.

რაც შეეხება გუნდურ ტურნირს, აქ ფრანგების უპირატესობა აშკარა იყო. მათ საბოლოოდ 1603 ქულა დაუგროვდათ, ხოლო II ადგილზე გასული ავსტრიელები 864 ქულას დასჯერდნენ. III ადგილი აშშ-ს სამთომოთხილამურეებმა დაიკავეს — 599, IV — შვეიცარიელებმა — 450.

## საბჭოთა სპორტის გამარჯვება

პარიზი, 20 მარტი. (საქდესი). საბჭოთა ძალოსან ვ. ალექსეევის წარმატება, რომელმაც სამჭიდში ფანტასტიკური ზღვარი გადალახა — 600 კგ აიღო, დიდი მოვლენაა სპორტის ისტორიაში,—წერს გაზეთი „ეკიპ", როცა სსრ კავშირის სპორტსმენის მიღწევას აანალიზებს. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში, — აღნიშნავს გაზეთი, — ძალოსანთა რეკორდი 100 კგ-ით გაიზარდა. ბოლო ხანებში პირველობდნენ საბჭოთა სპორტსმენები ვლასოვი და ჟაბოტინსკი. ახლა მათი გზა ალექსეევმა გააგრძელა.

# სულამანიძის ბრინჯაოს მედალი

ლვოვი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ადგილობრივ სპორტის სასახლეში დიდ ინტერესს იწვევს „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს მოფარიკავეთა პირად-გუნდური პირველობა უნივერსიადის პროგრამით. შეჯიბრებაში 300 სპორტსმენი ჩაება.

ასპარეზობა დაშნით მებრძოლებმა გახსნეს. სარბიელზე 5 თბილისელი სტუდენტი გამოდიოდა. ბრძოლა თავიდანვე დაძაბულად წარიმართა. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან საერთო გუნდურ ჩათვლაში ქულებს მხოლოდ 8 საუკეთესო შედეგი იძლევა.

ფინალის გზა მეტად ძნელი და დამქანცველი გამოდგა. პირველი საფეხურის შემდეგ 38 სპორტსმენი გამოეთიშა შეჯიბრებას, მათ შორის, თბილისელები ტ. გოგოლაძე და ვ. ქათამაძე.

შ. სულამანიძემ, თ. კობიძემ, ი. ვახროვმა შედარებით იოლად დაძლიეს წინააღმდეგობა და მეოთხედფინალში გავიდნენ. ნახევარფინალის საგზურისთვის კობიძეს 3 მოგება არ ეყო და მან მაყურებლებში გადაინაცვლა. სულამანიძე და ვახროვი დაუმარცხებლად გავიდნენ ფინალში.

სულამანიძემ ამჯერადაც შესანიშნავად იფარიკავა და III საპრიზო ადგილი დაისაკუთრა. ქების ღირსია ახალგაზრდა ვახროვიც, რომელიც IV ადგილზე აღმოჩნდა. ჩემპიონის სახელი მოიპოვა ვ. გოჟიევმა, II ადგილზეა პ. სლეპცოვი (ორივე — რსფსრ).

რაპირისტ ქალთა ტურნირში ბელორუსიელთა უპირატესობა აშკარა იყო (ფინალში 4 სპორტსმენი გავიდა). აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ რესპუბლიკის წარმომადგენლებმა დაიკავეს I-IV ადგილები. ჩემპიონი გახდა ს. ალიკო, II ადგილზეა მ. შაკოლინა, III — ს. სოლდატოვა.

ჩვენი სპორტსმენებიდან ნახევარფინალში გავიდნენ ნ. ლაბაძე (იგი ტრავმის გამო გამოეთიშა შეჯიბრებას), ნ. ჩახვაშვილი და ს. ხვანიძე, რომელთაც შესაბამისად XI-XII ადგილები დაიკავეს.

პირადი პირველობის შემდეგ გაიმართა გუნდური შეჯიბრება. წინასწარ შეხვედრებში ჩვენი დაშნით მებრძოლები ყირგიზეთის მოფარიკავეებს შეხვდნენ და გაიმარჯვეს — 9:4. ნახევარფინალში თბილისელ სპორტსმენთა პირისპირ წარსდგა რსფსრ-ს ძლიერი კოლექტივი, რომლის შემადგენლობაშიც I-II ადგილებზე გასული სპორტსმენები გამოდიოდნენ.

ამ შეხვედრაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი სულამანიძემ, რომელმაც ზედიზედ ორი ბრძოლა მოიგო და ამით ახალგაზრდა კოლეგებს გამარჯვების სტიმული მისცა. როცა ანგარიში იყო 6:2 რსფსრ-ს ნაკრების სასარგებლოდ და 10 შეხვედრიდან მათ მხოლოდ 2 მოგება სჭირდებოდათ, ქართველმა სპორტსმენებმა შეძლეს ძალების მობილიზება და მრისხანე მეტოქესთან გამარჯვება მოიპოვეს.

ფინალში თბილისელი სტუდენტები მოსკოველებს შეხვდნენ. 9 ორთაბრძოლის შემდეგ ჩვენი გუნდი მინიმალური ანგარიშით (5:4) უგებდა მეტოქეს. აქ ახალგაზრდა მოფარიკავე კობიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი მხარში ამოუდგა ნაკრების ლიდერს სულამანიძეს და 4 შეხვედრიდან ოთხივე მოიგო. ქართველმა სტუდენტებმა I ადგილი დაისაკუთრეს.

ზედმიწევნით საინტერესო იყო ქალთა შეხვედრები. ჩვენმა მოფარიკავეებმა მეოთხედფინალში სძლიეს სომხეთის გუნდს, მაგრამ ფინალის საგზურისთვის ბრძოლა ბელორუსიის უძლიერეს ნაკრებთან წააგეს. საბოლოოდ ისინი III ადგილზე დარჩნენ. აღსანიშნავია ახალგაზრდა სპორტსმენების დ. ბუხრაშვილისა და ნ. ლაბაძის ოსტატობა, მათ სპეციალისტების დიდი მოწონება დაიმსახურეს.

ფ. მეხი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

# თავი ქარიდეს

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა ფოთის საქალაქო პირველობა მძლეოსნურ კროსში.

1500 მეტრზე ქალთა რბენაში ყველას აჯობა ე. ლოლუამ (სამედიცინო სასწავლებელი) — 5.42,0. 4 კილომეტრზე მოასპარეზე ჭაბუკებში იმარჯვა მ. აბზიანიძემ (ჰიდრომელიორაციის ტექნიკუმი) — 15.22,0. 8 კილომეტრზე რბენა მოიგო მ. კვებლიანმა — 35.25,0, ხოლო ყველაზე გრძელ, 10-კილომეტრიან მანძილზე — ზ. ხოფერიამ (ყველა — ჰიდრომელიორაციის ტექნიკუმი) — 37.35,0.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს: ვაჟებში — ჰიდრომელიორაციის ტექნიკუმის, ქალებში — სამედიცინო სასწავლებლის კოლექტივებმა.

შეჯიბრებას თავი აარიდეს მე-2 სამკერვალო ფაბრიკის, ელექტროაპარატების ქარხნის, პროფტექნიკური სასწავლებლის სპორტსმენებმა.

ზ. ბასილაია.
(ჩვენი კორ.).

ფოთი.



# ჩვენი ჯილდო

— დიმიტრი ბრძანდებით? სულითა და გულით გილოცავთ საპატიო წოდებას. თქვენი ბიჭების მშობლებმაც ხომ უნდა აღვნიშნოთ ეს ამბავი. ბიჭებს კარგად ყოფნა იქნება ყველაზე კარგი საჩუქარი? ესეც იქნება და საჩუქარიც აუცილებლად უნდა მოგართვათ. გვაინტერესებს, რა უფრო გესიამოვნებათ? აჰ, ეს რა საჩუქარია, დაგვცინით?

გივის დედამ ყურმილი დადო, მოგვიბრუნდა და ნაწყენმა თქვა:

— ყველაზე ძვირფასი საჩუქარი თერთმეტი მიხაკი იქნებაო.

ქალებმა გაოცებით გადახედეს ერთმანეთს.

მხოლოდ მე და მამას არ გაგვკვირვებია. თერთმეტი მიხაკი მართლაც სიმბოლური საჩუქარი იქნებოდა. თერთმეტი ბიჭი თერთმეტ ივლისს გავხდით ჩემპიონები. დიმიტრი მწვრთნელი ჩემს თვალში კიდევ უფრო ამაღლდა.

სტუმრები ცივად დაგვემშვიდობნენ და წავიდნენ.

— კაცი ეგ ყოფილა, — თქვა მამამ.

— მეგონა, აშენებას მოგვთხოვდა ზურიკელას ფიზიკის მასწავლებელივით, — ღიმილით თქვა დედამ.

— ხვალ დილით ბაზარში წადი, თერთმეტი მიხაკი იყიდე, ბიჭთან ერთად მიდი დიმიტრისთან და ყველას მაგივრად მიულოცე, — უთხრა მამამ დედას.

ჩემი სიხარული ხანმოკლე გამოდგა. ერთ დღეს ოჯახს დიდი უბედურება დაატყდა თავს: მოულოდნელად გარდაიცვალა ბაბუა გიორგი. ცხედარი, ალბათ, ჯერ კიდევ გაცივებული არ იყო, სახლი ნათესავებმა და მეზობლებმა რომ აავსეს. მოვიდნენ დედას ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, მამას ასეთივე ნათესავები, და მოეწყო სახელდახელო თათბირი. მე ბაბუა ძალიან შემეცოდა.

მასზე ფიქრებში ვიყავი ჩაფლული და მოთათბირეთ ყურს არ ვუგდებდი, სანამ ხმამაღალი კამათი არ დაიწყეს.

— მე მგონია, ქელეხი არ არის საჭირო, — თქვა მამაჩემმა.

— როგორ გეკადრებათ! — თქვა თმაშევერცხლილმა მამაკაცმა, რომელსაც დღეს პირველად ვხედავდი.

— ქელეხი აუცილებელია. რას იტყვის ხალხი! — დაუმატა მაგიდის კუთხეში მჯდარმა შუახნის ქალმა.

— თუ ოჯახს გაუჭირდება, ნათესავები აქ არა ვართ? — ხრინწიანი ხმით წარმოთქვა, მამას გვერდით რომ კაცი იჯდა.

მამამ თავი დააქნია, რაც იმას ნიშნავდა, რომ დანებდა.

დაიწყეს საქელეხო ხორაგის სიის შედგენა.

— ათი კილო ლობიო! — თქვა ერთმა და ქაღალდის დიდი ფურცლის თავში ლობიო წამოიჭიმა.

— ოცი კილო ბრინჯი! — დასძინა დიდულვაშა ძიამ.

— ხახვი, მწვანილი, თევზი, ნიგოზი, ყველი, ხორცი...

მეორე ოთახში ტახტზე უპატრონოდ დასვენებული ბაბუაჩემი აღარავის ახსოვდა.

გულმოსული გავვარდი ეზოში. სადარბაზოსთან გივი კანკავა იდგა.

— თქვენები ძალიან შეწუხებული არიან, არა? — მკითხა გივიმ.

— კი, ძალიან. ქელეხის საქმეს ჩარხავენ, — მივუგე მე.

ამ დროს აივნიდან ძახილი მომესმა. შინ მიხმობდნენ.

— ბაბუაშენს ძალიან უყვარდა ფეხბურთი, განსაკუთრებით თქვენი გუნდის დიდი მოტრფიალე იყო. ხვალ პანაშვიდზე შენი მეგობრებით საპატიო ყარაულში უნდა დადგეთ, — მითხრა უცნობმა ძიამ, ალბათ, ნათესავმა. მაშინვე მამას და ბაბუაჩემის დიალოგი გამახსენდა:

„ლუპავ ჩვენი გვარის ერთადერთ გამგრძელებელს, ხომ? მთელი დღე რომ ტლინკაობს და ბურთს დასდევს, ესაა საქმე? ქვეყნის სასაცილო არ გავხდეთ. ჩვენს გვარში ჯერ ფიზკულტურელი არავინ ყოფილა. შევრცხვებით!“

ასე უყვარდა საწყალ ბაბუას სპორტი, განსაკუთრებით, ფეხბურთი.

ჩვენ პირველ პანაშვიდზე გაჭიმულები ვიდექით ბაბუას კუბოს გარშემო. სამგლოვიარო პროცესიას დიდძალი ხალხი გაჰყვა. მგონია, ქელეხზე უფრო მეტი დაბრუნდა. შეიქნა დანა-ჩანგლისა და ჭურჭლის ხმაური.

ხალხმა სამივე ოთახში და შუშაბანდში გაშლილი სუფრა სწრაფად შეავსო. ბევრი უადგილოდ დარჩა. ისინი სადარბაზოსთან შეიკრიბნენ რიგის მოლოდინში.

თამადის არჩევას ბარე ათი წუთი დასჭირდა. ყველა უარზე იყო. ბოლოს ერთი ბღენძი კაცი, როგორც იქნა, მოტეხეს და სუფრის თავს წამოაბრძანეს.

თამადამ პირველად ბაბუას ხსოვნის სადღეგრძელო შესვა. ბევრი ილაპარაკა. ცამდე აიყვანა პირდაპირ. რა არ თქვა: დიდი პატრიოტიო, სამშობლოს უდიდესი მოჭირნახულე და ქომაგიო, ქართველი ერის სასიქადულო და თავდადებული შვილიო.

სინამდვილეში კი ბაბუა ერთი თავმდაბალი და უპრეტენზიო კაცი იყო, სოფელში ცხოვრობდა და მთელი სიცოცხლე ვენახს შეალია.

თამადის ბრძანებით სუფრასთან მიმიწვიეს. დაიწყო შვილიშვილების სადღეგრძელო. ჩაის ჭიქები ზედიზედ იცლებოდა და ხმამაღალი ლაპარაკიც დაიწყო, სუფრის ბოლოში გადაიხარხარა კიდეც ვიღაცამ. ამ ქვეყნიდან წასული ბაბუა უკვე აღარავის ახსოვდა.

შემდეგ წელიწადს საკავშირო გათამაშება ვოლგოგრადში გაიმართა. საერთოდ ჩემპიონის წინააღმდეგ ყველა ძლიერად თამაშობს. ჩვენ ყველა მატჩი მოვიგეთ, ფინალში ისევ „სატურნს“ შევხვდით და წავაგეთ. მეორე ტაიმის მიწურულს გივი კანკავამ ჩვენს კარში დარტყმული ბურთი ვერ შეაჩერა, მცველებიც რატომღაც დაიბნენ და „სატურნის“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა გადამწყვეტი გოლი გაიტანა.

მეორე ადგილი დავიკავეთ. ვერცხლის მედლები მივიღეთ.

თბილისის აეროპორტში მშობლების მეტი არავინ დაგვხვდა. ალბათ, ჩვენგან კვლავ ჩემპიონობას ელოდნენ და იმიტომ. მერე რა მოხდა: მეორე ადგილი ცუდია?

სტადიონზე გვქონდა მორიგი ვარჯიში. დიმიტრი მწვრთნელი რაღაც უგუნებოდ იყო. უხასიათობის მიზეზი ვერ ვკითხეთ, მოგვერიდა. ვარჯიშის შემდეგ ვიღაც უცნობები მოვიდნენ. მწვრთნელმა შეგვკრიბა, ჯიბიდან რაღაც ქაღალდი ამოიღო და გვითხრა:

— თქვენ ფეხბურთის ანბანს უკვე დაეუფლეთ. ახლა საჭიროა გამოცდილება მიიღოთ მოზრდილთა გუნდებში. უფროსმა ამხანაგებმა ასე გადაწყვიტეს: გივი კანკავა, ნიკო კახიანი, ზურაბ კოსტავა და ზურიკელა ვაშალომიძე „ნაკადულში“ ჩაირიცხონ. ფირუზ ჭუჭულაშვილი, კახი ბადურაშვილი, სლავა კირთაძე, გივი გოდერძიშვილი ითამაშებენ „შუქურაში“, თემო ნაცვალაძე, ჯიმშერ და ნოდარ გოდერძიშვილები — „სინათლეში“.

ჩვენ არაფერი, მაგრამ ძმები რაღად დააშორეს ერთმანეთს? დიმიტრი მწვრთნელმა სამ ჯგუფად დაგვყო. უცნობებმა თვალიერება დაგვიწყეს. გვეგონა, გასაყიდად მივყავდით. უკეთესი არ იქნებოდა, კვლავ ერთად გვეთამაშა, ერთ გუნდში გავზრდილიყავით?

უფროსმა ძიებმა ალბათ ჩვენზე უკეთ იციან.

ყველას გული დაგვწყდა. უცებ წარმოვიდგინე, ვეთამაშებით რომელიმე გუნდს. მეტოქეთა შორის ვხედავ ჩვენს ფირუზ ჭუჭულაშვილს ან თემო ნაცვალაძეს. როგორ უნდა ვითამაშო მათ წინააღმდეგ?

არ ვითამაშებ და ის იქნება!

შინ ისე მივედით, ერთმანეთისთვის ხმა არ გაგვიცია. სპორტულ მოედანზე ჩვენი ეზოს პატარა ბიჭებს ფეხბურთის თამაში გაეჩაღებინათ.

ჩომაგალი „დურუჯი“ უკვე ფეხს იდგამდა.

დასასრული. იხ. „ლელო“ №№ 39, 42, 44, 48, 50, 53.

ზ. ჯაფარიძე.

# ძველი ფოტოსურათები მოგვითხრობენ



# „ეს იყო ჩემი პირველი გამარჯვება“

ეს იყო 1927 წელს. ცნობილი ქართველი სპორტული მოღვაწის ი. კიზირიას თაოსნობით ახალ სენაკში პირველი ცხენოსნური სპორტული გუნდი შეიქმნა. მარულა, თარჩია, მოქნევა... ხალხური ცხენოსნობის სახეობები. სწორედ ამ სახეობებში მართავდა შეჯიბრებებს ახალჩამოყალიბებული გუნდი, რომლის ერთ-ერთი წამყვანი მხედარიც გვეჯე ივანიძე გახლდათ.

... შემოდგომის მზიანი დღეა. დასავლეთისკენ გადამდგარი მზე ოქროს სხივებით დასთამაშებს ტეხურის პირას გაშლილ ლამაზ ქალაქს. მოედანზე ზღვა ხალხს მოუყრია თავი. ყველა სულმოუთქმელად ელის მარულის დაწყებას. ბედაურებზე ამხედრებული, ალვირმომარჯვებული ცხენოსნები თვალს არ აშორებენ მსაჯის წითელ ალამს. აი, ალამი შეირხა და მოასპარეზენი ელვის სისწრაფით მოსწყდნენ ადგილს. პირველი, მეორე, მესამე, მერვე შემორბენა. დაწინაურდნენ ორნი: კ. ქობალავა და გ. ივანიძე. გულშემატკივრები ომახიანი შეძახილებით ხან ერთ მხედარს აქეზებენ, ხან მეორეს. ბოლოს იძალა გვეჯეს წაბლა ცხენმა „ჩერქეზმა“ და პირველი მიიჭრა ფინიშთან.

— ეს იყო ჩემი პირველი გამარჯვება საჯარო შეჯიბრებაში და იგი არასოდეს დამავიწყდება, — კმაყოფილებით იგონებს გვეჯე, რომლის სპორტული ბიოგრაფია ამ დღიდან სულ უფრო მდიდარი და საინტერესო ხდება.

... ივანიძის ცხოვრებაში წარუშლელი კვალი დასტოვა 1952 წელს მოსკოვში გამართულ ასპარეზობაში წარმატებამ. ეს იყო ეროვნული ცხენოსნური სპორტის დიდი დემონსტრაცია. ის დღე მოსკოველ მაყურებლებსაც დიდხანს ემახსოვრებათ. მოედანზე ერთიმეორის მიყოლებით მიჰქროდნენ მხედრები და ექვსმეტრიან ანძაზე ვერცხლის თასს ზედიზედ ტყორცნიდნენ ისრებს. ვერც ერთმა ვერ მიაღწია საწადელს. და აი, ივანიძის რიგია. გააჭენა ცხაკაიელმა მხედარმა ცხენი, მოზიდა მშვილდს და თასიც ძირს დაეშვა. მაყურებლები ტაშის გრიალით მიესალმნენ გამარჯვებულს.

ვინ მოსთვლის, რამდენი ასეთი სახახელო ეპიზოდის მოგონება შეიძლება გ. ივანიძის ცხოვრებიდან.

ამას წინათ ღვაწლმოსილ მხედარს 65 წლისთავი გადაუხადეს ცხაკაიელებმა. ამაგდარი სპორტსმენის მიმართ ბევრი გულთბილი სიტყვა ითქვა და იგი სავსებით იმსახურებს ამას. ჯანმრთელობა და წარმატებები ვუსურვოთ გვეჯე ივანიძეს.

ე. გუგუნავა.
(ჩვენი კორ.).

ცხაკაია.

* * *

სურათზე: გ. ივანიძე.

# ჰორიზონტზეა უნივერსიადა

წლევანდელი ზამთრის თოვლისა და ყინულის სამეფოში უკვე ბევრი საინტერესო სპორტული მოვლენის მოწმენი ვიყავით. და აი, ჰორიზონტზე გამოჩნდა სეზონის კიდევ ერთი დიდი შეჯიბრება, რომელიც ზამთრის სპორტის სახეობათა მილიონობით მოყვარულის ინტერესს იწვევს.

— რა მნიშვნელობას ანიჭებთ მომავალ ზამთრის მსოფლიო უნივერსიადას?

ამ კითხვით დაიწყო საუბარი ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტმა სტუდენტური სპორტსაზოგადოების „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. შურიგინთან.

— ყველასთვის ცნობილია, თუ რა დიდი პოპულარობა მოიპოვეს უნივერსიადებმა თავიანთი გაქანებითა და საერთაშორისო მნიშვნელობით. ისინი ბევრად როდი ჩამოუვარდებიან ოლიმპიურ თამაშებს. შევნიშნავთ იმასაც, რომ უძლიერესი სპორტსმენები და მათი მწვრთნელები უნივერსიადაში მონაწილეობას განიხილავენ, როგორც ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების მნიშვნელოვან ეტაპს. ზამთრის უნივერსიადაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 35 ქვეყნის სტუდენტთა 70 სპორტულმა ასოციაციამ.

მრავალრიცხოვან გუნდებს, რომელთა შემადგენლობაში ჩვენ ვიხილავთ აღიარებულ და ახალგაზრდა ტალანტებს — ოლიმპიურ იმედებს — გამოიყვანენ უნივერსიადის მასპინძლები ფინელები და მათი მეზობლები — სკანდინაველები, აგრეთვე, ავსტრია, შვეიცარია, საფრანგეთი, იაპონია, გფრ, გდრ, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი და სხვა ქვეყნები. სსრ კავშირი უნივერსიადაში საასპარეზოდ ასამდე სტუდენტი სპორტსმენის გაგზავნას აპირებს.

— განსხვავდება თუ არა წლევანდელი უნივერსიადის პროგრამა წინამორბედი ასპარეზობისგან?

— შეჯიბრებათა პროგრამა მოიცავს ზამთრის თითქმის ყველა სახეობას: თხილამურებით რბოლას, ჩრდილოეთის ორჭიდს, ტრამპლინიდან ხტომას, სამთოსათხილამურო სპორტს, ციგურებით სწრაფრბენას, ფიგურულ ციგურაობასა და შაიბიან ჰოკეის.

— რა შეგიძლიათ გვითხრათ ჩვენი გუნდის შემადგენლობაზე?

— უნივერსიადას წინ უსწრებდა დიდი შეჯიბრებები და სწორედ აქ მოპოვებული შედეგების საფუძველზე დადგინდება გუნდის საბოლოო შემადგენლობა. დავიწყოთ მოთხილამურე მრბოლელებით. აქ გუნდის კანდიდატები არიან: სსრ კავშირის ჩემპიონი ფ. სიმაშოვი, კრასნოიარსკის პედინსტიტუტის კურსდამთავრებული ვ. პესკოვი (მან ბოლო საკავშირო უნივერსიადაში გაიმარჯვა), 50 კილომეტრზე რბოლის პრიზიორი, ვლადიმირის პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენელი ვ. მალაშენკოვი, ზამთრის უნივერსიადის ჩემპიონი, სარატოვის პედინსტიტუტის წარმომადგენელი ა. ვალიულინი. ქალთა გუნდში მოხვედრაზე პრეტენზიას აცხადებენ: გამოცდილი მრბოლელი ურალის პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან გ. ელისტრატოვა, ორი პირველი სტუდენტი — ნ. ნოგოვიცინა და თ. ვიატკინა, მოსკოვის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის წარმომადგენელი ლ. მენშიკოვა, აგრეთვე, იუნიორთა შორის ევროპის ჩემპიონი ო. როკო (კარელია)

ტრამპლინიდან მხტომელებიდან დავასახელებ ცნობილ სპორტსმენებს — სსრ კავშირის ნაკრების წევრებს, მსოფლიო ჩემპიონს გ. ნაპალკოვს (გორკი) და მოსკოველ ა. ივანიკოვს, სტუდენტთა შეჯიბრებებში გამარჯვებულებს და პრიზიორებს — ლენინგრადელ ვ. რემნიოვს და კიროველ ე. ციპლენკოვს.

სამთოთხილამურეებში შეხვდებით სხვადასხვა ქალაქისა და უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლებს. ესენი არიან სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის სტუდენტი ა. ტორმოსინი, პროფკავშირების 1969 წლის ჩემპიონი გიგანტურ სლალომში, ქართველი სპორტსმენი ი. ნასყიდაშვილი, „ვერცხლის ედელვაისის" შარშანდელ გათამაშებაში გამარჯვებული, ალმაათელი მ. ჰუსაინოვა, კრასნოიარსკელი სტუდენტები ბ. დამნენკო და ი. პეიპენი. მათთან ერთად იქნებიან ქალები: სსრ კავშირის ჩემპიონი, მოსკოველი სტუდენტი ხ. ისაკოვა, ნიჭიერი ლენინგრადელი სლალომისტი ლ. ბარიშნიკოვა, სსრ კავშირის ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორი სწრაფდაშვებაში, კემეროვოს პედინსტიტუტის სტუდენტი ნ. ხალზოვა, გრენობლის თეთრი ოლიმპიადის მონაწილე, სსრ კავშირის ჩემპიონი ი. ტურუნდაევსკაია (ლენინგრადი) და სხვ.

ციგურებით სწრაფრბენის ოსტატებიდან ჯერ ბევრს ვერ დავასახელებთ. გაიცანით მათგან მხოლოდ რამდენიმე: სსრ კავშირის 1970 წლის აბსოლუტური ჩემპიონი, მოსკოველი ვ. ლავრუშკინი, კიროველი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ა. ჩეკულაევი, ოლიმპიური ჩემპიონი, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის სტუდენტი ლ. ტიტოვა, სსრ კავშირის ჩემპიონი, ომსკელი ვ. კრასნოვა, სსრ კავშირის 1970 წლის პირველი ჩემპიონი სპრინტერულ მრავალჭიდში, ევროპის ჩემპიონი ნ. სტატკევიჩი (ლენინგრადი). დანარჩენები? მათ ვინაობას მერე გავიგებთ.

საიდუმლო არ არის, რომ სსრ კავშირის საუკეთესო ფიგურისტების უმრავლესობა სტუდენტია. გადაწყვეტილი გვაქვს ფინეთში, უნივერსიადაზე გავგზავნოთ ერთეულთა სრიალის უძლიერესი ოსტატები ს. ჩეტვერუხინი, ვ. კურენბინი, ს. ვოლკოვი, ე. ალექსანდროვა, საუკეთესო წყვილები — სსრ კავშირის ჩემპიონატებისა და საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის პრიზიორები ლ. სმირნოვა და ა. სურაიკინი, ლ. სუსლინა და ა. ტიხომიროვი, გ. კარელინა და გ. პროსკურინი, ცნობილი საცეკვაო დუეტი — ს. ბაკინა და ა. რუბლიოვი.

საბჭოთა ჰოკეისტების გუნდში ძირითადად გამოვლენ კოლომნისა და სვერდლოვსკის პედინსტიტუტების სტუდენტები. ზოგიერთი მათგანი თამაშობს პოპულარულ გუნდებში — ურალის „ავტომობილისტში" და ვოსკრესენსკის „ხიმიკში".

— როგორია თქვენი პროგნოზები?

— ზამთრის სპორტის წინა სტუდენტურ ფესტივალებში საბჭოთა სპორტსმენები კარგად გამოვიდნენ. ბევრმა ჩემპიონის წოდება, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. საბჭოთა სტუდენტურ საზოგადოებრიობას იმედი აქვს, რომ მისი წარგზავნილები არც ფინეთში შეირცხვენენ თავს. მაგრამ ჩვენ იმასაც ვუწევთ ანგარიშს, რომ სერიოზულ მეტოქეობას წავაწყდებით მთელი რიგი ეროვნული გუნდების მხრიდან. დიდ კონკურენციას გაგვიწევენ ჩრდილოეთის ქვეყნების მოთხილამურეები, საფრანგეთის, ავსტრიისა და შვეიცარიის სლალომისტები, ჰოლანდიის, ნორვეგიის, გფრ-ისა და სხვა ქვეყნების მოციგურავეები.

# სარბიელზე — სოფლის სპორტსმენები

წლევანდელი სოფლის საკავშირო სპორტული თამაშები ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს ეძღვნება. ასპარეზობა რამდენიმე ეტაპად ტარდება. უკვე გაიმართა შეჯიბრებები კოლექტივებსა და რაიონებში, ახლა კი რესპუბლიკური ტურნირები ეწყობა. შემდეგ ოდესაში, კიშინიოვში, დუბოსარიში, კოტოვსკსა და ტირასპოლში გაიმართება საკავშირო ფინალური თამაშები. ჩვენს რესპუბლიკაში უკვე სამი სახეობის წარმომადგენლებმა იასპარეზეს — მოჭადრაკეებმა, მოშაშეებმა და თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა. გთავაზობთ ამ სახეობებში გამართულ შეჯიბრებათა შედეგებს.

## ჭადრაკი

ტურნირი ჩატარდა გეგეჭკორში, სადაც გუნდური პირველობისთვის ბრძოლაში 23 კოლექტივი ჩაება. გამარჯვება მოიპოვა მახარაძის რაიონის კოლექტივმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ზუგდიდის, აჭარის, აფხაზეთის, სამტრედიისა და წითელწყაროს გუნდები.

ვაჟთა პირად პირველობაში იმარჯვა ზუგდიდელმა გ. ციხელაშვილმა. II საპრიზო ადგილზეა გ. ჭანტურია (აჭარა), III — ს. მეგრელიშვილი (მახარაძე).

ქალებში პირველობა მოიპოვა ლ. კოროშინაძემ (მახარაძე). II ადგილი წილად ხვდა ა. ბაძაღუას (ზუგდიდი), III — თ. ჩხიკვაძეს (აფხაზეთი).

## შაში

მოშაშეთა შეჯიბრება მოეწყო აბაშაში, სადაც ერთმანეთს გუნდურ პირველობას 22 კოლექტივი ეცილებოდა. პირველ ექვსეულში კოლექტივები ასე განაწილდნენ: 1. სამტრედია, 2. გარდაბანი, 3. აფხაზეთი, 4. მახარაძე, 5. კასპი, 6. აჭარა.

ვაჟთა შორის ყველას აჯობა ვ. ნინუამ (სამტრედია). II ადგილზეა ს. მოძღვრიშვილი (მახარაძე), III — პ. ივაშენკო (აფხაზეთი).

ქალებში უძლიერესი იყო სამტრედიელი თ. გამხიტაშვილი. II ადგილი დაისაკუთრა ვ. ფუხაშვილმა (გარდაბანი), III — დ. ზარქუამ (აფხაზეთი).

## თავისუფალი ჭიდაობა

სოფლის 196 ათლეტმა მოიყარა თავი ცხინვალის ახალ სპორტულ დარბაზში. დაძაბული ბრძოლის შემდეგ 21 გუნდიდან საუკეთესოთა ექვსეულში შევიდნენ სამხრეთ ოსეთის, აჭარის, კასპის, მახარაძის, აფხაზეთისა და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მოჭიდავეები. მასპინძლებმა კარგად მომზადებული და ძლიერი გუნდი გამოიყვანეს.

ასპარეზობა შესანიშნავად იყო ორგანიზებული, მაგრამ მას ჩრდილი მიაყენა 74 კგ წონის მოჭიდავე ნ. არქანიას (აფხაზეთი) არასპორტულმა საქციელმა: ხალიჩაზე წაქცეულ ნ. ბეგოიძეს (წითელი წყარო) მან წიხლი უთავაზა, მერე კი თავი იმართლა, მეტოქე უხეშად მეჭიდავაო. სწორად მოიქცა მსაჯთა კოლეგია (მთავარი მსაჯი ვ. კუხიანიძე), როცა აფხაზეთის წარმომადგენელი შეჯიბრებიდან მოხსნა. მისი მიზეზით გუნდი დაისაჯა — 23 საჯარიმო ქულა დაეწერა. ვფიქრობთ, ეს სხვებისთვისაც ჭკუის სასწავლი გაკვეთილი უნდა იყოს.

პირად პირველობაში პრიზიორთა სამეულები ასე განაწილდა:

48 კგ. 1. ბ. ამსავა (აფხაზეთი), 2. ვ. ქუმარიტოვი (სამხრეთ ოსეთი), 3. ბ. აბესაძე (აჭარა).

52 კგ. 1. ა. ობგაიძე (კასპი), 2. ა. მაისურაძე (სამტრედია), 3. ნ. ჭილაძე (გარდაბანი).

57 კგ. 1. ზ. ილურიძე (კასპი), 2. რ. დობორჯგინიძე (მარნეული), 3. გ. გიორგაძე (მცხეთა).

62 კგ. 1. ვ. ნიპარიშვილი (კასპი), 2. ა. ხუციშვილი (სამტრედია), 3. ი. სკრილნიკოვი (აჭარა).

68 კგ. 1. რ. მელაშვილი (აჭარა), 2. მ. ხაბალაშვილი (მახარაძე), 3. ნ. ხოხაშვილი (გარდაბანი).

74 კგ. 1. ა. მარგიევი (სამხრეთ ოსეთი), 2. ფ. კეკლიშვილი (საგარეჯო), 3. ნ. ბეგოიძე (წითელი წყარო).

82 კგ. 1. ა. მაღრაძე (ორჯონიკიძე), 2. ლ. ცხოვრებოვი (სამხრეთ ოსეთი), 3. გ. ბალხამიშვილი (კასპი).

90 კგ. 1. ლ. კესაევი (სამხრეთ ოსეთი), 2. ნ. ბეჟანიძე (აჭარა), 3. რ. იმნაძე (მახარაძე).

100 კგ. 1. კ. ზაზაევი (სამხრეთ ოსეთი), 2. ჯ. ბიჭიაშვილი (მცხეთა), 3. ჯ. კოპალიანი (აფხაზეთი).

100 კგ-ზე ზევით. 1. ფ. გაბარაევი (სამხრეთ ოსეთი), 2. ვ. საღირიშვილი (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი), 3. გ. ზერეკიძე (გორი).

• • •

სამ სახეობაში გამართულ შეჯიბრებათა შემდეგ კომპლექსურ ჩათვლაში I ადგილზეა მახარაძის რაიონი (9 საჯარიმო ქულა), II — აჭარა (11), III — აფხაზეთი (12), IV — სამტრედია (18), V — კასპი (19), VI — ზუგდიდი (25).

„ლელოს" ბრიგადა.



## ოქრო და ბრინჯაო

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ნელი ცოცხალაშვილი ნიჭიერი წყალში მხტომელია. მას ბევრჯერ წარმატებით უასპარეზია დიდი მასშტაბის შეჯიბრებებში, მაგრამ მოსკოვში ახლახან გამართული სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა პირველობა, სადაც ტრამპლინიდან ხტომაში ბევრი სახელოვანი სპორტსმენი ჩამოიტოვა და ჩემპიონის ოქროს მედალი მოიხვეჭა, მაინც განსაკუთრებითაა აღსანიშნავი (ვაჟთა შორის გაიმარჯვა მოსკოველმა მ. საფონოვმა).

მეორე დღეს გაიმართა შეჯიბრება 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში. აქ ქართველმა სპორტსმენმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. გაიმარჯვა ლენინგრადელმა ო. ვასილიევამ. ვაჟებში პირველი იყო ტალინელი ა. ვიშნიაკოვი.

გუნდურ პირველობაში იმარჯვა მოსკოვის სამხედრო ოლქის კოლექტივმა. II ადგილზეა კიევის, III — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ნაკრები.

სურათზე: ნ. ცოცხალაშვილი.

ფოტო ბ. ქვათაძისა.

# მომავალზე ფიქრით

თბილისის 53-ე საშუალო სკოლის ახალ სპორტულ დარბაზში ბავშვების ყიჟინია. გაკვეთილს ატარებს სკოლის ცოცხალი მატიანე, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული პედაგოგი ა. ავალიანი. ეს ადამიანი თითქმის ნახევარი საუკუნეა ფიზიკური კულტურის სიყვარულს უნერგავს პატარებს, ამ სკოლაში კი უკვე 33 წელია მოღვაწეობს.

მასწავლებელმა შემოგვთავაზა და ჩვენც სკოლის ახალ მუზეუმს ვეწვიეთ. სპორტული ექსპონატების სიუხვე ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ აქ ფიზკულტურასა და სპორტს დიდ პატივს სცემენ. სტენდები, სპორტული დიდების ალბომი, ჯილდოები, — აღარ ვიცით, საიდან დავიწყოთ...

აი, „ტყავის ბურთის" საკავშირო პირველობაში მოპოვებული ოქროს მედალი, აგერ, მოფარიკავეთა მსოფლიო პირველობის დიპლომი... მეორე სტენდზე ამ ჯილდოების მფლობელთა სურათებია გამოკრული. ვის არ გაუგონია კალათბურთელების ლ. მოსეშვილის, თ. ტოგონიძის, ა. აჩბას, გ. ჯუღელის, მოფარიკავეების დ. შარაშენიძის, გ. ანდრიაძის, მ. ადეიშვილის, მთამსვლელ თ. კუხიანიძის, ფეხბურთელ ა. ჭკუასელისა და სხვათა სახელები, რომელთაც ფეხი ამ სკოლის სპორტულ სარბიელზე აიდგეს. ეს ცნობილი სპორტსმენები ფრთებს შლიდნენ მაშინ, როცა სკოლის ბაზები სანახევროდაც არ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს. ძველი დარბაზის ფართობი სულ რაღაც 60 კვ მეტრი იყო.

გავიდა დრო და უკვე აუცილებლობამ მოითხოვა ახალი, თანამედროვე სპორტული ბაზის შექმნა. ორი წლის მანძილზე ფიზიკური კულტურის დიდი ენთუზიასტის — სკოლის დირექტორის ლ. მარგველაშვილისა და ფიზკულტურის მასწავლებლის შ. შალამბერიძის ხელმძღვანელობით მთელი სკოლა აქტიურად იყო ჩაბმული დარბაზის მშენებლობაში.

და აი, წლეულს დარბაზი მწყობრში ჩადგა. ამ სასიხარულო ამბავმა მთლიანად გარდაქმნა სკოლის სპორტული ცხოვრება. მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკის, ტანვარჯიშის, კალათბურთის, ფარიკაობის ადრე მოქმედი სექციების გვერდით ჩამოყალიბდა ახალიც — მხატვრული ტანვარჯიშის, ფრენბურთის, ჩოგბურთისა. გადაწყვეტილი აქვთ სკოლაში დანერგონ მინი-კალათბურთი.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით აქ დიდი ზეიმის მოწყობას აპირებენ. ამ ზეიმში ყველა ასაკის მოსწავლეებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა.

ერთი სიტყვით, 53-ე სკოლაში ყველაფერი მომავალზე ფიქრით კეთდება. ფიზკულტურისა და სპორტის მთავარი დანიშნულება ხომ ისაა, რომ ადამიანები იყვნენ ჯანმრთელნი და ფიზიკურად ძლიერნი. გარდა ამისა, ამ სასწავლებელში სურთ თავიანთი აღზრდილები კვლავ ქართველი სპორტსმენების ავანგარდში იხილონ. სურვილი კი უკვე საქმის ნახევარია.

გ. ჩეკურიშვილი.

## რაიონებში ტურნირები

### გალი

რუსულ შაშში რაიონის პირად-გუნდურ პირველობაში 10 გუნდი მონაწილეობდა. უძლიერესის სახელი მოიხვეჭეს „კოლმეურნის" რაისაბჭოს მოშაშეებმა (ო. ბჟანია, შ. შამათავა, რ. ცინდელიანი). II ადგილი დაიკავა „სპარტაკის" რაისაბჭოს კოლექტივმა (რ. კეშელავა, ზ. ბჟანია, მ. ბასარია), III — მე-3 საშუალო სკოლამ (ზ. საბულუა, ა. ილიჯევი, რ. ქვარცხავა). პირად ჩათვლაში გაიმარჯვეს: ვაჟებში — ო. ბჟანიამ, ქალებში — მ. ჯეჯეიამ.

გ. ჯეჯეია.

# მანქანებით — „ლაბირინთში"

ლენინის მოედანზე გაიმართა ბათუმის პირად-გუნდური პირველობა მანქანების ფიგურულ მართვაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 9 გუნდი.

გაიმარჯვა აჭარის მინისტრთა საბჭოს გარაჟის კოლექტივმა (ე. შიშმანიძე, რ. ვარშანიძე, ა. გორგილაძე, ლ. გურგენიძე, ე. ბჟინვა).

პირად ტურნირში ყველას აჯობა შიშმანიძემ, რომელმაც 500-მეტრიანი „ლაბირინთი" უშეცდომოდ გაიარა 1 წუთსა და 13 წამში.

ო. მურვანიძე.

ბათუმი.

ჩვენი კულტურის დიდი მოამაგის ი. იმედაშვილის ჟურნალმა „თეატრი და ცხოვრება" (№ 8) 1912 წელს ქართველ საზოგადოებრიობას აუწყა: „მხატვარ ვალერიან სიდამონ-ერისთავს დაუმზადებია ჭადრაკის ახალი კოჭები: ქართველები, ლეკები, ქართველი მეფე-დედოფალი და საქართველოს ციხე-ბურჯები. როგორც შევიტყვეთ, მხატვარი ერთ-ერთ გამოფენაზე გამოფენს ამ თავის ახალ ნაწარმოებთ". ცნობამ საერთო ინტერესი გამოიწვია.

იმ ხანად ახალგაზრდა მხატვარი ვ. სიდამონ-ერისთავი (1889-1943 წ. წ.) მოსკოვში ცხოვრობდა და გატაცებით მუშაობდა ქართველი ერის გმირული წარსულის ამსახველი ტილოების შექმნაზე. იგი ამბობდა: „ქართულ მხატვრობას არა აქვს ისტორიული ფერწერა და მე ჩემი შემოქმედება მას უნდა მივუძღვნა". სწორედ მაშინ მოაწყო სიდამონ-ერისთავმა მოსკოვსა და პეტერბურგში თავისი ნამუშევრების გამოფენა.

# ქართული მხატვრული ჭადრაკი

საზოგადოების წინაშე იგი წარსდგა საყურადღებო ესკიზებითაც — „გიორგი სააკაძე ბრძოლის წინ მტრის მოლოდინში", „საომრად მზადება ხევსურებისა" და სხვ. ამ გამოფენამ თბილისშიც (1913 წ.) დიდი მოწონება ჰპოვა.

მკვლევარმა ვ. სიდამონიძემ (ზემოთ მოყვანილი ამონაწერი მან მოგვაწოდა) ამაოდ ეძია კვალი, მონაწილეობდა თუ არა ეს ჭადრაკი სიდამონ-ერისთავის გამოფენებში. როგორც ჩანს, იგი გამოფენილი არ ყოფილა.

ამ ჭადრაკს მხატვრის ვაჟის — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის პრორექტორ თ. სიდამონ-ერისთავის ოჯახში მივაკვლიეთ. როგორც სურათზე ხედავთ, ფიგურებს მართლაც ეროვნული იერი აქვთ.

კომპლექტი, სამწუხაროდ, სრული არ აღმოჩნდა. დაცულია ძირითადად „ქართული ლაშქარი": ლაზიერი (ქართველი დედოფლის სახით), ეტლი (ქართული ციხე-სიმაგრე), კუ (ქართული ლაშქრის ოფიცრის, ასისთავის სახით) და 6-6 პაიკი (თეთრები — გრძელჩოხიანი, ფაფახიანი ლეკები, შავები — მოკლეჩოხიანი, კახურქუდიანი კახელ-ქართლელი გლეხები). აღმოჩნდა აგრეთვე ორი ლეკის დაუმთავრებელი ფიგურა.

ყველა ფიგურა ხისაა, ოსტატურად გამოჭრილი. საინტერესოა, რომ ყველა ლეკი და გლეხი განსხვავდება ერთმანეთისგან: ზოგი წვერულვაშებიანია, ზოგი მხოლოდ ულვაშიანი, ზოგი სახე დაღარული, ზოგიც — ახალგაზრდა. მეტოქეთა ლაშქარს ჩაცმულობა და ფერიც განასხვავებს.

ყველა „პაიკი" ქამარხანჯლიანია, ასისთავს ხმალიც ჰკიდია წელზე და წითელი მდიდრული ქულაჯაც აცვია, რაც მის უფროსობაზე მიგვანიშნებს.

ლაზიერი ქართველი დედოფალია. მას დიდებული, ოქროს სირმით გაწყობილი ქართული კაბა აცვია და თავზე დედოფლის გვირგვინი ჰხურავს. ფიგურა მუქი ყავისფერია.

კიდევ ერთი საყურადღებო ნიშანი: ყველა ქართველი მეომრის სახეს დაძაბული, მტრისადმი სიძულვილის გამომხატველი გამომეტყველება აქვს.

რაკი კომპლექტი სრული არ არის და ზოგიერთი ფიგურა დაუმთავრებელია, ვფიქრობთ, რომ მხატვარს ბოლომდე არ მიუყვანია განზრახული. მას არც შემდეგ უცდია ახალგაზრდობის ჩანაფიქრის განხორციელება, როცა სახელგანთქმული მხატვარ-დეკორატორი და სამხატვრო აკადემიის პროფესორი გახდა.

ვ. სიდამონ-ერისთავის ნამუშევარი მხატვრული ჭადრაკია. ასეთი ჭადრაკი ბევრ ხალხს აქვს. ფიგურებში ეროვნული მოტივები ჩანს: შრომისა და ბრძოლის იარაღი, ჩაცმულობა, ზნე-ჩვეულება და სხვ. ქართველი მხატვრის ჭადრაკი, ამას გარდა, სხვა რამითაც არის საყურადღებო.

მხატვარი ამბობს: „მე დავიბადე ყვარელში, ილია ჭავჭავაძის სახლში. ყრმობა კახეთში გავატარე. ჩემი სამშობლო კუთხეს და მის ბუნებას კარგად ვიცნობ". ალბათ, პატარა ვალერიანს შინ ბევრჯერ სმენია ლეკიანობაზე, რის გამოც წარსულში კახეთი და ქართლი გამუდმებით შეწუხებული იყო. ჩანს, ბავშვობაში გაგონილმა ღრმა კვალი გაავლო მომავალი შემოქმედის მეხსიერებაში. მხატვარმა ჭადრაკში ერთმანეთს დაუპირისპირა მოძალადე ლეკები და აღმოსავლეთ საქართველოს გლეხები.

დასასრულს ერთი შენიშვნა: გამოითქვა აზრი, რომ სასუვენიროდ ქართული მხატვრული ჭადრაკი შეიქმნას. ჩვენი აზრით, ასეთი ჭადრაკის ავტორი სწორედ ისე უნდა მიუდგეს საქმეს, როგორც ვ. სიდამონ-ერისთავი: გაითვალისწინოს ქართველი ხალხის უძველესი საჭადრაკო კულტურა, ძველი ქართული ფიგურების ნიმუშები (ჩვენ მოგვეპოვება XII და XVII-XVIII საუკუნეების ფიგურები) და ისიც, რომ ჩვენი დროის ჭადრაკის დედოფალი ქართველი ქალია.

თ. გიორგაძე.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე (მარცხნიდან): ქართველი დედოფალი, ციხე-ბურჯი, ასისთავი, სამი ქართველი გლეხი და ამდენივე ლეკი.



# ჩვენი ცნობები

● **რომი**, 20 მარტი. დღეს აქ გაიმართა ფეხბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის 1969 წლის გათამაშებათა ნახევარფინალური მატჩების კენჭისყრა. ჩემპიონთა ტურნირში მეტოქენი ასე დაწყვილდნენ: „ლეგია" (ვარშავა) — „ფეიენოორდი" (როტერდამი), „ლიდს იუნაიტედი" (ინგლისი) — „სელტიკი" (გლაზგო). თასების მფლობელთა თასის გათამაშების ნახევარფინალში ზაბჟეს „გურნიკი" (პოლონეთი) „რომას" (იტალია) შეხვდება, ხოლო „მანჩესტერ სიტი" (ინგლისი) — გფრ-ის გუნდს „შალკე 04".

● **თეირანი**, 20 მარტი. „მეგობრობის თასზე" აქ მიმდინარე ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში მორიგ წარმატებას მიაღწიეს ცსკა-ს ფეხბურთელებმა: მათ ანგარიშით 1:0 სძლიეს თურქეთის გუნდს. ახლა ცსკა ფინალში ირანის „პეიკანს" ეთამაშება.

● **სბროიოვკა** (ჩეხოსლოვაკია), 20 მარტი. ადგილობრივი „სპარტაკის" ფრენბურთელ ვაჟთა გუნდმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალურ მატჩში დაამარცხა გფრ-ის „მიუნსტერი" — 3:0.

● **ლენინგრადი**, 20 მარტი. მძლეოსანთა ზამთრის საქალაქო პირველობაში თ. კონდრაშოვამ 100 მეტრზე თარჯრბენში 13,9 წამი აჩვენა, რაც 0,2 წამით სჯობს მისსავე მსოფლიო მიღწევას.

# ამიერიდან — ორ წელიწადში ერთხელ

გერმანელ ფაშისტთაგან ბუდაპეშტის განთავისუფლების 25 წლისთავს ეძღვნება სპორტული ფილმების დიდი საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც ამიერიდან ყოველ ორ წელიწადში ერთხელ გაიმართება.

ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება სასწავლო ფილმები, დოკუმენტური რეპორტაჟები, ტურიზმისადმი მიძღვნილი კინოფირები და ტელეფილმები.

# • KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGAS •

## საინტერესო „დაპირება"

„თუ ჩვენ წლეულს მსოფლიო ჩემპიონობას მოვიპოვებთ, დებულების თანახმად, სამუდამოდ უნდა მივიღოთ ჟიულ რიმეს თასი, — განაცხადა ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა. — ამ შემთხვევაში უნდა დაწესდეს რაიმე ახალი პრიზი იმ გუნდებისთვის, რომლებიც შემდგომში მოიპოვებენ მსოფლიოს ჩემპიონობას. ამიტომ ჩვენ ვცისრულობთ დავაწესოთ ახალი თასი, რომელიც ბევრად უფრო ძვირფასი და ლამაზი იქნება, ვიდრე ახლანდელია".

როგორც ცნობილია, ჟიულ რიმეს თასის სამუდამოდ დასაკუთრების შანსი იტალიელებსა და ურუგვაელებსაც აქეთ, მაგრამ ამ ქვეყნების ფედერაციები ჯერჯერობით არაფერს ამბობენ ახალი ჯილდოს დაწესების თაობაზე.

● ●

## „უამრავი გოლი გავა!"

ასე მიაჩნია ინგლისის ნაკრების მეკარე გ. ბენქსს, რომლის აზრითაც მეხიკოს მსოფლიო ჩემპიონატი თავისი შედეგიანობით ყველა წინამორბედს გადააჭარბებს. — საქმე ისაა, რომ მექსიკაში მეკარეებს ძალიან გაუჭირდებათ, — განაგრძო ბენქსმა. — ზღვის დონიდან 2.300 მეტრზე ნიავი საკმაოდ ძლიერია, რაც ძალიან აძნელებს დარტყმის მოგერიებას. ისეთი თავდამსხმელი, როგორიც პელე, ყოველგვარი პოზიციიდან მოუმზადებლად ურტყამს. მოდი და ებრძოლე მას და თანაც მეკარისთვის ესოდენ უხერხულ პირობებში.

თუ ჩილისა და ინგლისის მსოფლიოს ჩემპიონატებში ვერავინ მიჰბაძა ფონტენს, რომელმაც შვეციაში 13 გოლი გაიტანა, ახლა, ბენქსის აზრით, შესაძლოა ამ რეკორდის მოხსნა.

● ●

## „არ გამეორდება!"

ბულგარელი მიმომხილველები დიდ ყურადღებას უთმობენ თავიანთი გუნდის მზადებას მსოფლიო პირველობისთვის. მათი აზრით, გუნდის ეს მესამე გამოსვლა ფინალში გაცილებით უკეთესი უნდა გამოდგეს, ვიდრე პირველი ორი.

პირველად, 1962 წელს, ბულგარელებმა 2 მატჩი წააგეს და მხოლოდ ერთი დაამთავრეს ფრედ. ბურთების შეფარდება იყო 1:7. ინგლისში მათი შედეგი კიდევ უფრო გაუარესდა: სამივე წაგება, ბურთების შეფარდება 1:8.

„ეს შედეგი არ გამეორდება!" — ირწმუნებიან ბულგარელები. სპორტულ მიმომხილველებსაც მიაჩნიათ, რომ მათი გუნდი ახლა კარგადაა მომზადებული.

● ●

## აპრილსა და მაისში

„ჩვენი ძირითადი მოსამზადებელი თვეები აპრილი და მაისი გახლავთ, — განაცხადა ურუგვაის ნაკრების მწვრთნელმა ხ. ჰოპბერგმა, — როდესაც ჩვენს განკარგულებაში მივიღებთ „პენიაროლისა" და „ნასიონალის" მოთამაშეებს".

ურუგვაელები ხანგრძლივ საწვრთნელ შეკრებას მოაწყობენ კოლუმბიასა და ეკვადორში. აქ ჰოპბერგი აპირებს ბევრი საკონტროლო თამაშის ჩატარებას.

მან უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ მის წამყვან მოთამაშეებს ძალიან შეუჩნდნენ ბრაზილიური კლუბები. ნაკრების ძირითად მეკარე მაზურკევიჩს მოსვენებას არ აძლევს „სანტოსი", ხოლო „სან-პაულუს" სურს დაეუფლოს როჩეს და ეს მაშინ, როცა ორივე მოთამაშე ახლა მექსიკისთვის სამზადისით უნდა იყოს გართული.

● ●

## ფ. ვალკარეჯის პროგნოზი

იტალიის ნაკრების მწვრთნელმა ფ. ვალკარეჯიმ, რომელსაც ფრიად თავშეკავებული კაცის რეპუტაცია აქვს, ამას წინათ ჟურნალისტებთან ილაპარაკა მსოფლიო პირველობის პრობლემებზე.

— არის მხოლოდ 6 ნაკრები, რომელთაც შეუძლიათ იბრძოლონ მექსიკაში ჩემპიონობის მოსაპოვებლად. ესენი არიან ინგლისის, ბრაზილიის, გფრ-ის, სსრ კავშირის, მექსიკისა და იტალიის გუნდები.

ვალკარეჯის აზრით, აკლიმატიზაციის პროცესს დაახლოებით ერთი თვე მოუნდება, მაგრამ მაღალმთიანეთის პრობლემა არც ისე რთულია, როგორც ზოგს წარმოუდგენია. მას არ შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს, თუმცა მასპინძლებს ერთგვარად უმსუბუქებს ამოცანას.

## 15 ათასი სალვადორელი

სალვადორელი გულშემატკივრები სულაც არ იზიარებენ სპეციალისტების აზრს, რომელთაც მათი გუნდი სრულ აუტსაიდერად მიაჩნიათ სსრ კავშირის, მექსიკისა და ბელგიის გუნდებთან ბრძოლაში. მათ არც ამხანაგური მატჩების წაგება აშფოთებთ და დარწმუნებული არიან, რომ ეს გუნდი მექსიკაში თავს გამოიჩენს.

სალვადორში ძალიან ბევრი აღმოჩნდა მექსიკაში გამგზავრების მსურველი. ადგილობრივმა ტურისტულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გააჩაღეს და უკვე ჯაამზადეს საბუთები 15 ათასი მსურველისა, რომლებიც მაისის ბოლოს მექსიკაში გაემგზავრებიან. ეს ერთ-ერთი ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი ტურისტული დელეგაცია იქნება მექსიკაში.




## ინგლისელთა დახმარებით

მადრიდის „რეალის" ძველმა კონკურენტმა „ბარსელონამ" გადაწყვიტა ბოლოს და ბოლოს ანგარიში გაუსწოროს თავის მეტოქეს და სათანადო ნაბიჯებიც გადადგა: გუნდის დირექტორატმა მოიწვია ორი კარგად ცნობილი ინგლისელი სპეციალისტი, რომლებსაც ევალებათ მუშაობის გარდაქმნა „ბარსელონაში" და მისი ბრძოლისუნარიანობის ამაღლება.

მენეჯერად დანიშნულია ვ. ბუკინჰემი, რომელიც წლების განმავლობაში „ლუტონ ტაუნის" ხელმძღვანელი იყო, ხოლო ახალი მწვრთნელის — ტედ დრეიკის სახელი ბევრ რამეს ეუბნება ფეხბურთის მოყვარულებს. 30-ან წლებში იგი ინგლისის № 1 ფეხბურთელი და „არსენალის" პოპულარული ცენტრალური თავდამსხმელი იყო.

ადრე ესპანეთში ძალიან ერიდებოდნენ უცხოელი, მით უმეტეს, ინგლისელი მწვრთნელების მიწვევას. ახლა „ბარსელონამ" მიბაძა „სევილიას", რომელსაც ავსტრიელი მერკელი უდგას სათავეში.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი.** აეროპორტის სტადიონი. **დღეს:** საქართველოს პირველობა. ასკ (თბილისი) — „იმერეთი" (თერჯოლა). დასაწყისი 12 ს.

**მოტოკროსი.** დელისის მიდამოები. **დღეს:** სსრ კავშირის ჩემპიონატის I ეტაპი. დასაწყისი 13 ს.

**მძლეოსნობა.** „ლოკომოტივის" სტადიონი. **23-24 მარტი. 1954-55 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა პირად-გუნდური რესპუბლიკური საგაზაფხულო შეჯიბრება.** — დასაწყისი 10 ს. **23-25 მარტი. 1952-53 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა რესპუბლიკური პირად-გუნდური საგაზაფხულო შეჯიბრება.** დასაწყისი 14 ს. სპორტის სასახლე. **24 მარტი. XVII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის რ. შავლაყაძის პრიზის გათამაშება.** მონაწილეობენ: ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონი ვ. გავრილოვი, სპორტის ოსტატები ვ. სკვორცოვი, თ. მდივანი, ა. მოსპანოვი, ნ. საგანელიძე, ვ. ბოლშოვი, ა. ლაზარევა, ნ. ბრინცევა და სხვ. მთავარი მსაჯი — ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სსრ კავშირის ექს-რეკორდსმენი სიმაღლეზე ხტომაში, პროფესორი ვ. შხვაცაბაია. დასაწყისი: ქალები — 17 ს., ვაჟები — 19 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 08109